

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის  
ოქმი № 16

ქ. ახმეტა

21 ოქტომბერი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყვინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბადაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ. კობტაშვილი,  
ა. ხიზანაძე, ნ. ალავეძე, თ. ბორჩაშვილი, ა. ბულრიძე,  
გ. ხუცურაული, გ. ხადიშვილი, რ. გახუაშვილი,  
ი. მრელაშვილი, დ. იმერლიშვილი, ლ. უძილაური,  
დ. ავაზაშვილი, ვ. სუხოშვილი, თ. წითელაური,  
გ. მაისურაძე, თ. მოზაიძე, თ. ბოდაველი,  
ლ. გოგოთიძე, ფ. შიომღვიმელი,  
რ. ალხანაშვილი.

ასევე ესწრებოდნენ: მერიის წარმომადგენელი სოფ. საკობიანოს ადმინისტრაციულ  
ერთეულში - გიორგი ალბუთაშვილი და ამავე სოფელში მცხოვრები მოსახლეობა.

1. სერგო გამიაშვილი.
2. ცეზარი გამიაშვილი.
3. ჯაბა პაპიაშვილი.
4. თამარი გოზალიშვილი.
5. სპარტაკი წიწუაშვილი.

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup>საათზე.

### დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნისა და მისი სახელდების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომას ესწრება 23 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 23

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნისა და მისი სახელდების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია სოფელ საკობიანოს მოსახლეობის ინიციატივის საფუძველზე, წარმოგიდგინო წინადადებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ხადორის ისტორტიულ უბანში დასახლებული პუნქტის, სოფლის შექმნის და მისთვის სახელი „ხადორი“- ს მინიჭების თაობაზე.

1. მოწონებულ იქნას ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება, ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნისა და მისთვის სახელწოდების „ხადორი“, მინიჭების თაობაზე.
2. განკარგულება დასახლების სახელდების მოწონების თაობაზე, დასკვნის მიღების მიზნით გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის,

ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 23 წევრი.

მომხრე - 23

საკითხი ერთხმად იქნა მიღებული.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 38 „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნისა და მისი სახელდების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11:30 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი